ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომა №01

დ. ლენტეხი. 31 იანვარი.2023წ.

დღის წესრიგი

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი/

/თანამომხსენებელი საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი/

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 42°. 45. 30" და აღმოსავლეთ გრძედის 43°.00.03" სიმაღლე ზღვის დონიდან 2606მ) საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

3.,,2023 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების,საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი/

4.,,2023 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების,საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

5. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩუკულის ერთ-ერთი უბნის ლეკუმბასტში მცხოვრებ მოქალაქეთა განცხადება ლეკუმბასტის ცალკე დასახლებად გამოყოფის თაობაზე.

/მომხსენებელი საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით პირველი/

6.სოფ. ტვიბში მდინარე მუხრას კალაპოტის დაცვის მიზნით რკინა-ბეტონის დეზების მოწყობის და კალაპოტის გაწმენდის სამუშაოების პროექტის მოწონების თაობაზე.

/ მომხსენებელი მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე დემური ლიპარტელიანი. თანამომხსენებელი საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

7.ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი/

8. სხვადასხვა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: /გ.გაზდელიანი/